ქ. წალენჯიხა

20 იანვარი 2023 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი N1

2023 წლის 20 იანვარს ჩატარდა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რაისა ჩანგელია. ესწრებოდნენ კომისიის შემდეგი წევრები: მანანა ჭანია, ნანა ლემონჯავა, დათო მესხია, ნანა ქობალია, გონერ კვარაცხელია. ასევე ესწრებოდნენ: რომან კვარაცხელია, თემურ ქარდავა, ომარ ქარდავა, მერაბ შონია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის პირველი მოადგილე ივანე ბურდული, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე თამარ ბელქანია. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვთანდილ გაბელია.

დაწყების დრო: 14:00-სთ.
დასრულების დრო: 15:00-სთ

დღის წესრიგი:

1. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების წესის შესახებ.

   პროექტის წარმდგენი: მერაბ შონია - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურების, დევნილთა და ბავშვთა უფლებების დაცვის განყოფილების უფროსი;

2. წალენჯიხის მუნიციპალიტეტში პირველკლასელთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამის განხორციელების წესის შესახებ.

   პროექტის წარმდგენი: ივანე ბურდული- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე;

2.სხვადასხვა

მოისმინეს 1. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების წესის შესახებ მოხსენება გააკეთა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურების, დევნილთა და ბავშვთა უფლებების დაცვის განყოფილების უფროსმა მერაბ შონიამ. წარმოდგენილი წესი განსაძღვრავს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლების ბოლო ერთი წლის განმავლობაში და პროგრამის განხორციელების პერიოდში ფაქტობრივად ცხოვრობენ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დროებით რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებულ პირებისთვის-დევნილებისათვის, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის „მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა" მუხლში გათვალისწინებული პროგრამების განხორციელების პრინციპებს, სოციალური დახმარების დანიშვნასა და გაცემასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, მიმღებთა (ბენეფიციართა) კატეგორიებს, მათ მიერ წარმოსადგენ დოკუმენტთა ნუსხას, სოციალური დახმარების სახეობას და გასაცემი თანხის ოდენობას.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, ავთანდილ გაბელიას თქმით, ფსიქიკურ ავადმყოფთა ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერის პროგრამაში უნდა მომხდარიყო ცვლილება და მკვეთრად გამოხატული პირველი ჯგუფის ბენეფიციარებს უნდა ჩარიცხვოდათ 50 ლარის ნაცვლად 100 ლარი. შეთანხმება იყო ზეპირსიტყვიერად წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილესთან ივანე ბურდულთან. ამასთან დაკავშირებით ივანე ბურდულმა უპასუხა, რომ ბენეფიციართა რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა და ამიტომაც არ მოხდა ამ მუხლში ცვლილება, მაგრამ თებერვლის თვეში ბიუჯეტში გვექნება ნაშთები და შესაძლებელია ამ ნაშთების ამ მუხლში მიმართვა, ამიტომაც შეგვიძლია რედაქტირება და მკვეთრად გამოხატული პირველი ჯგუფის ბენეფიციარებს ნაცვლად 50 ლარისა ჩაერიცხებათ 100 ლარი.

მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ ცვლილებაა ახალშობილთა ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარების მუხლში, პროგრამა ითვალისწინებს ბიოლოგიური დედის რიგით პირველ და მეორე ცოცხლად შობილ შვილზე ერთჯერად ფულად დახმარებას 400 ლარის ოდენობით.

დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური ფულადი დახმარების მუხლშიც არის ცვლილება, დაფინანსება მოხდება ყოველთვიურად თითოეულ ბენეფიციარზე 200 ლარის ნაცვლად 300 ლარით.

ასევე ცვლილებაა დიდი სამამულო ომის მონაწილე მოქალაქეთა ფინანსური მხარდაჭერის პროგრამაში, პროგრამა ითვალისწინებს დიდი სამამულო ომის მონაწილისთვის კომუნალური მომსახურები გადახდილ (დენი,წყალი,გაზი) სუფსიდირების მიზნით ფინანსურ მხარდაჭერას ყოველთვიურად წარმოდგენილი ქვითრების შესაბამისად, არაუმეტეს 300 ლარისა.

სხდომის თავმჯდომარე რაისა ჩანგელიამ, კენჭისყრაზე დააყენა განხილული საკითხი, კომისიის წევრებმა საკითხი ერთხმად ჩათვალეს მომზადებულად საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

მოისმინეს 2. წალენჯიხის მუნიციპალიტეტში პირველკლასელთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამის განხორციელების წესის შესახებ მოხსენება გააკეთა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ ივანე ბურდულმა. ეს პროგრამა ძალიან დაჩქარებული ტემპით, მაგრამ ეფექტურად, განათლების სამინისტროსთან და რესურსცენტრთან თანამშრომლობით მომზადდა, ასევე ვითანამშრომლეთ ბანკებთან, ბავშვებისთბის საბანკო ბარათების დასამზადებლად, ზემოთაღნიშნული ბარათების გამოყენება ჩავთვალეთ მიზანშეწონილად, რადგან მუნიციპალიტეტში არსებული 30 სკოლიდან, მხოლოდ 6 სკოლას აქვს სასადილო. მზა საკვები რომ დაგვერიგებინა სკოლებში, უნდა ჩრთულიყო ამ პროცესში სურსათის უვნებლობის სამსახური, საკვები უნდა გამზადებულიყო ერთ ცენტრში და შემდეგ დაგვერიგებინა მაცივარ მანქანით რასაც დიდი თანხები უნდა. ბარათებით სარგებლობა შეიძლება ნებისმიერ მარკეტში, ბარათზე ყოველდღე ირიცხება კვების საშუალო თანხა 4 ლარი, ასევე შესაძლებელია კვირაში ერთხელ 20 ლარის ოდენობის საკვებ პროდუქტების შეძენა, ეს ერის პროგრამა, რომელიც ხორციელდება მთელი საქართველოს მასშტაბით პირველად ჩვენი მუნიციპალიტეტის მიერ, ასე რომ მეტი გამოცდილება გვექნება პრაქტიკაში.ბარათს გააჩნია გარკვეული შეზღუდვები, კერძოდ: ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, დაბლოკილი იქნება ბანკომატიდან თანხის გამოტანისა და ონლაინ. გადახდებისთვის გამოყენების ფუნქცია. ასევე ბარათების დამზადება იქნება სრულიად უფასო თბს ბანკისგან, ასევე სკოლებში სადაც არის სასადილოები იქნება გადახდის ტერმინალები, რომელსაც გვჩუქნის თბს ბანკი.

პროგრამაში ჩართვისთვის, პირველკლასელის ერთ-ერთმა მშობელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

1. განცხადება;
2. პირველკლასელის დაბადების მოწმობა;
3. ცნობა სკოლიდან, პირველ კლასში სწავლის თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარე რაისა ჩანგელიამ, კენჭისყრაზე დააყენა განხილული საკითხი, კომისიის წევრებმა საკითხი ერთხმად ჩათვალეს მომზადებულად საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე /რაისა ჩანგელია/